

ხაშურის რაიონული სასამართლოს

შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის შინაგანაწესი (შემდგომში _ შინაგანაწესი) შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად და ვრცელდება ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატში მომუშავე საჯარო მოსამსახურეებზე.

2. შინაგანაწესის მიზნებია:

ა) ხაშურის რაიონული სასამართლოს დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;

ბ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება;

დ) ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება და პროფესიული ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა;

ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ოპერატიულობის გაზრდა;

3. შინაგანაწესით განისაზღვრება:

ა) სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული;

ბ) სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო;

გ) დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი;

დ) ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის საჯარო მოსამსახურის მიერ კუთვნილი შევებულების გამოყენების პირობები და წესი;

ე) ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო მოსამსახურის მივლინების წესი;

ვ) სამსახურებრივ საკითხებზე გაცემულ განკარგულებათა ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო მოსამსახურისათვის გაცნობის წესი;

ზ) ხელფასისა და სამივლინებო თანხების გაცემის დრო და ადგილი;

თ) შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები;

ი) სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი.

მუხლი 2. სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული. შესვენების დრო

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო სამსახურის განხორციელება ეფუძნება საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპს და განისაზღვრება 5 დღიანი სამუშაო კვირით.
2. სამუშაო დრო განისაზღვრება 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.
3. მოსამსახურისათვის სამუშაო დროის განმავლობაში განსაზღვრულია შესვენების დრო, რომელიც გრძელდება 13.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე.
4. ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის საჯარო მოსამსახურის (შემდგომში – მოსამსახურე) სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების დრო ფიქსირდება საამისოდ გამოყოფილი აღრიცხვის ჟურნალის მეშვეობით.
5. სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისა და სამუშაო დროის განმავლობაში (შესვენების დროის გარდა) სამუშაო ადგილის დატოვების თაობაზე მოსამართლის თანაშემწემ და სხდომის მდივანმა უნდა აცნობოს შესაბამის მოსამართლეს, ხოლო სხვა მოსამსახურეებმა სასამართლოს თავმჯდომარეს ან აპარატის უფროსს.
6. მოსამსახურე, რომელიც სამსახურებრივ საქმეზე, თავისი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფება ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის გარეთ, ითვლება სამსახურში მყოფად.

მუხლი 3. დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი

დასვენებისა და უქმე დღეებში სასამართლოში არიან მორიგე მოსამართლე, თანაშემწე, მდივანი და სპეციალისტი.

მუხლი 4. შვებულების უფლების გამოყენების წესი

1. მოსამსახურე სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ხანგრძლივობით.
2. მოსამსახურის ყოველწლიური ანაზღაურებადი, ანაზღაურების გარეშე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო, დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო და სასწავლო შვებულება ფორმდება სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.
3. განცხადება შვებულების მოთხოვნის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს საშვებულებო პერიოდის დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც. აღნიშნული ვადის შემცირება დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოსამსახურის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოდგენისას.
4. შვებულების მოთხოვნის შესახებ განცხადება მოსამართლის თანაშემწემ და სხდომის მდივანმა უნდა შეუთანხმოს შესაბამის მოსამართლეს.
5. მოსამსახურე უფლებამოსილია, სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით (თანაშემწე და სხდომის მდივანი შესაბამისი მოსამართლის თანხმობით), ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს კუთვნილი შვებულება.

6. იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე ვერ ისარგებლებს კუთვნილი შვებულებით, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს შვებულების მომდევნო სამუშაო წელს გადატანა.

7. მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული უხელფასო შვებულების მოთხოვნისას გამოიყენება ამ მუხლით დადგენილი წესი.

8. სასწავლო შვებულებაში მოსამსახურის გაშვების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 5. მოსამსახურის მივლინების წესი

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო მოსამსახურის მივლინების უფლება აქვს ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს.

2. ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო მოსამსახურის მივლინება ფორმდება ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.

3. ქვეყნის ფარგლებში მივლინების შესახებ ბრძანების საფუძველზე ხაშურის რაიონული სასამართლოს კანცელარია ხაშურის რაიონული სასამართლოს საჯარო მოსამსახურეს უფორმებს სამივლინებო ფურცელს, რომლის ფორმას ამტკიცებს ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 6. სამსახურებრივ საკითხებზე გაცემულ განკარგულებათა მოსამსახურეთათვის გაცნობის წესი

1. სამსახურებრივ საკითხებზე მოსამსახურეებზე განკარგულების გაცემის უფლება აქვთ ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული განკარგულება შეიძლება იყოს ზოგადი (ვრცელდებოდეს ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის ყველა საჯარო მოსამსახურეზე) და პერსონალური.

3. ზოგად განკარგულებას გასცემს ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. ზოგად განკარგულებას შეიძლება ჰქონდეს წერილობითი ფორმა. იგი ექვემდებარება ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას გამოკვრას.

4. პერსონალურ განკარგულებას გასცემს ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ან მოსამართლე თავისი კომპეტენციის ფარგლებში. პერსონალური განკარგულება გაიცემა უშუალოდ ერთ მოსამსახურეზე ან მოსამსახურეთა განსაზღვრულ ჯგუფზე. პერსონალური განკარგულება გაიცემა წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

5. ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლის განკარგულებების შესრულება სავალდებულოა ხაშურის რაიონული სასამართლოს ყველა მოსამსახურისათვის.

6. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებისათვის შეტყობინებას უზრუნველყოფს სასამართლოს საკადრო და ორგანიზაციულ საკითხთა განყოფილების უფროსი.

მუხლი 7. საჯარო ინფორმაციის გაცემა

მოქალაქეებზე და ორგანიზაციებზე საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემის უზრუნველყოფა ევალება სასამართლოს კანცელარიის განყოფილების უფროსს.

მუხლი 8. მოსამსახურის უფლება-მოვალეობანი

1. მოსამსახურე მოვალეა:

ა) პირნათლად შეასრულოს დაკისრებული თანამდებობრივი მოვალეობანი;

ბ) სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება;

გ) შეასრულოს ხელმძღვანელის ბრძანება, განკარგულება და მითითება, რომლებიც გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) დაიცვას შრომის დისციპლინა, რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო, არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც აფერხებს ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის მუშაობას და ლახავს საჯარო სამსახურის ავტორიტეტს;

ე) გაუფრთხილდეს სახელმწიფო საკუთრებას, დაიცვას მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის დადგენილი წესი;

ვ) დაიცვას სამსახურებრივი ქცევის ნორმები და ხაშურის რაიონული სასამართლოს აპარატის შინაგანაწესი;

ზ) წესრიგში ჰქონდეს სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობაში და ტერიტორიაზე.

2. დაუშვებელია მოსამსახურის მიერ სამუშაო დროის განმავლობაში სისტემატურად კომპიუტერული თამაშებით სარგებლობა და ინტერნეტის რესურსების არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება.

3. მოსამსახურე, სასამართლოს პრესტიჟიდან და პროფესიული ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, მოვალეა ყურადღება მიაქციოს პიროვნულ იერ-სახეს, ჩაცმულობასა და სხვა აქსესუარებს, უპირატესობა მიანიჭოს ჩაცმის კლასიკურ სტილს.

მუხლი 9. სამსახურებრივ დოკუმენტებთან მუშაობის წესი და პირობები

1. მოსამსახურე მოვალეა სამსახურებრივ დოკუმენტებთან მუშაობისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესი და ვადები.

მუხლი 10. ხაშურის რაიონული სასამართლოს მოქალაქეთა მიღების წესი

მოქალაქეთა მიღება ხდება:

სასამართლოს თავმჯდომარესთან _ პარასკევს 16.00-დან 18.00 საათამდე;

მოსამართლესთან _ სამშაბათს 10.00 დან 11.00 საათამდე;

მოსამართლის თანაშემწესთან _ ნებისმიერ დროს საქმის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სასამართლოს შენობის მეორე სართულზე აკრძალულია უცხო პირთა შემოსვლა სათანადო საშვის გარეშე. საშვს სასამართლოს თავმჯდომარის, მოსამართლის ან აპარატის უფროსის ნებართვით გასცემს სასამართლოს მანდატური.

მუხლი 11. ხელფასისა და სამივლინებო თანხების გაცემის დრო და ადგილი

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამსახურეებზე ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ.
2. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამსახურის მივლინებისა და სამივლინებო თანხების გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
3. მოსამსახურეებზე ხელფასი და სამივლინებო თანხები გაიცემა ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობაში ან საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

მუხლი 12. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია

მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მოსამსახურე ვალდებულია სამუშაოს დასრულების შემდეგ, შენობის (სამუშაო ოთახის) დატოვებამდე გამორთოს წყალი, სინათლე, გაზი, ელექტროტექნიკა და სხვა ხარძარ საშიში ხელსაწყო.

მუხლი 13. თამბაქოს მოწევის აკრძალვა

1. აკრძალულია თამბაქოს მოწევა ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობის სამუშაო ოთახებში, კორიდორებში, კიბის უჯრედებში, ჰიგიენურ წერტილებში;
2. თამბაქოს მოსაწევად გამოიყოფა სპეციალური ადგილები ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობის ეზოში, ხოლო ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსდება სპეციალური აღნიშვნები და ინფორმაცია თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით მოქმედი წესების შესახებ.

მუხლი 14. სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს წინასწარ წარუდგინოს განცხადება სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე სათანადო მიზეზის მითითებით.
2. წინასწარ ცნობილი მიზეზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს, მოსამართლეს ან აპარატის უფროსს გამოუცხადებლობის სავარაუდო პერიოდი, სათანადო მიზეზის მითითებით. სამსახურში გამოცხადების შემდეგ მოსამსახურემ უნდა წარმოადგინოს ახსნა-განმარტებითი ბარათი სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული განცხადება და ახსნა-განმარტებითი ბარათი უნდა დარეგისტრირდეს დადგენილი წესით კანცელარიაში.

მუხლი 15. მოსამსახურის სამსახურში მიღება და გათავისუფლება

1. მოსამსახურე სამსახურში მიიღება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ხაშურის რაიონული სასამართლოდან გათავისუფლების შემდეგ მოსამსახურე ვალდებულია ხაშურის რაიონული სასამართლოს პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს დაუბრუნოს კუთვნილი სამსახურეობრივი მოწმობა და ყველა ის მატერიალური ფასეულობა, რომელიც მას სარგებლობაში გადაეცა ხაშურის რაიონული სასამართლოში მუშაობის პერიოდში.

მუხლი 16. მოსამსახურის მატერიალური პასუხისმგებლობა

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს ქონების ადმინისტრირებაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებს ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

2. თითოეული მოსამსახურე პასუხისმგებელია მისთვის გადაცემული ქონების სათანადო გამოყენებასა და დაცვაზე. იგი ვალდებულია:

ა) აღნიშნული ქონება გამოიყენოს მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისათვის;

ბ) ნებისმიერი სახის გადაადგილების, დაზიანების (სათანადო გამოყენების შედეგად ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით), განადგურებისა თუ დანაკარგის შესახებ აცნობოს მის უშუალო ხელმძღვანელს;

გ) არ გადასცეს თავის მფლობელობაში არსებული ქონება სხვა პირს, თუ არ ექნება ხელმძღვანელის თანხმობა.

3. თუ სამსახურეობრივი მოძიების შედეგად გამოვლინდება მოსამსახურის პასუხისმგებლობის საფუძველი, ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს ხაშურის რაიონული სასამართლოსათვის მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. იმ მოსამსახურეებს, რომელთაც უშუალოდ (საპასუხისმგებლო შენახვით) გადაცემული აქვთ ქონება გამოსაყენებლად, შესანახად, დასამუშავებლად ან გადასაზიდად, უფორმდებით ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

5. იმ მოსამსახურეებს, რომელთაც გადაცემული აქვთ ქონება ერთობლივი სარგებლობისათვის და როდესაც შეუძლებელია თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის გამიჯვნა, უფორმდებით ხელშეკრულება კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

6. ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციული შენობიდან ქონების გატანა დასაშვებია სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით. აღნიშნულის თაობაზე დგება წერილობითი აქტი.

7. ხაშურის რაიონული სასამართლოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად ყველა მოსამსახურისათვის.

2. შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს მოსამსახურისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში შინაგანაწესის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მოსამსახურის მიმართ გამოიყენება უფრო მძიმე დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს საკადრო და ორგანიზაციულ საკითხთა განყოფილების უფროსი ვალდებულია გააცნოს მოსამსახურეს წინამდებარე შინაგანაწესი, რაც დასტურდება მისი ხელმოწერით.

4. ხელწერილი შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე ინახება მოსამსახურის პირად საქმეში.

ხელშეკრულება № _____

სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

ქ. ხაშური _____ 20 წელი

საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე

(გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა)

ვკისრულობ პასუხისმგებლობას ჩემთვის გადმოცემული ქონების სათანადო გამოყენებასა და დაცვაზე. ვაცნობიერებ, რომ ვალდებული ვარ აღნიშნული ქონება გამოვიყენო მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის და ნებისმიერი სახის დაზიანების (სათანადო გამოყენების შედეგად ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით), აგრეთვე განადგურებისა თუ დაკარგვის შემთხვევაში ვაცნობო ჩემს უშუალო ხელმძღვანელს; არ გადავცე ჩემს მფლობელობაში არსებული ქონება სხვა პირს, თუ არ მექნება მიღებული სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა და სრული ოდენობით ავანაზღაურო ჩემზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობასთან დაკავშირებით ხაშურის რაიონული სასამართლოსათვის მიყენებული ზიანი.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი

(ხელმოწერა)

ხელშეკრულება № _____

კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

ქ. ხაშური _____ 20 წელი

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ქვემოთ ჩამოთვლილი მუშაკები

-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----

ვკისრულობთ სოლიდარულ პასუხისმგებლობას ჩვენთვის გადმოცემული ქონების სათანადო გამოყენებასა და დაცვაზე. ვაცნობიერებთ, რომ ვალდებული ვართ აღნიშნული ქონება გამოვიყენოთ მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის და ნებისმიერი სახის დაზიანების (სათანადო გამოყენების შედეგად ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით), აგრეთვე განადგურებისა თუ დაკარგვის შემთხვევაში ვაცნობთ ჩვენს უშუალო ხელმძღვანელს; არ გადავცეთ ჩვენს მფლობელობაში არსებული ქონება ნებისმიერ სხვა პირს, თუ არ გვექნება მიღებული სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა და სრული ოდენობით ავანაზდაუროთ ჩვენზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობასთან დაკავშირებით ხაშურის რაიონული სასამართლოსათვის მიყენებული ზიანი.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები

-----	-----	-----
-----	-----	-----

(ხელმოწერა)